ტროლო ფუნქციას. საკონსტიტუციო სასამართლოს ეკრძალება კონსტიტუციური ნორმის ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც შეაინროებს (ან გააფართოებს) სახელმწიფო ორგანოს თავისუფალი პოლიტიკური საქმიანობის სფეროს. საკონსტიტუციო სასამართლო ხელმძღვანელობს მხოლოდ სამართლებრივი მასშტაბით. საკონსტიტუციო სასამართლო არაა უფლებამოსილი გამოიყენოს შეფასების სხვა, არასამართლებრივი მასშტაბი.

568. განსაკუთრებით პრობლემატურია კონსტიტუციის ზოგადი პრინციპების ინტერპრეტაცია განმარტების კლასიკური ხერხების მეშვეობით. ამ პრინციპების მნიშვნელობის გარკვევა მოითხოვს გარკვეულ შემოქმედებითობას, მაგრამ არა თვითნებობას.

569. კონსტიტუცია ასრულებს განმარტების ერთგვარი მასშტაბის როლსაც. ნორმა უნდა იქნეს განმარტებული კონსტიტუციური მართლწესრიგის სულისკვეთების შესაბამისად. მაგალითად, რამდენად დასაშვებია სპონტანური შეკრებები? შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, გაფრთხილება შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შესახებ უნდა იქნეს შეტანილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, მის ჩატარებამდე არა უგვიანეს 5 დღისა. თუ შეკრება ან მიტინგი უნებართვოდ შედგა, შესაძლებელია მისი დაშლა. ამავე დროს, აშკარაა, რომ სპონტანური შეკრება თავისი არსით გამორიცხავს განაცხადის 5 დღით ადრე შეტანას. შესაბამისად, ეს მუხლი უნდა განიმარტოს კონსტიტუციით დაცული შეკრებებისა და თავისუფლებების სულისკვეთების შესაბამისად. სპონტანური შეკრების დროს არ არის აუცილებელი გაფრთხილების შესახებ განაცხადის შეტანა, ან შესაძლოა განაცხადის შეტანის ვადის შემცირება.

§9. სამართლიანობა როგორც განმარტების მასშტაბი

570. შეიძლება თუ არა, რომ „სამართლიანობის იდეა“ იყოს განმარტების მასშტაბი? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, უნდა დავუშვათ, რომ სამართლის შემფარდებელს შეუძლია სამართლიანობის იდეა ჩართოს განმარტების პროცესში და ამ ფორმით „განახორციელოს“ სამართლიანობა. რო-

ორც უკვე აღვნიშნეთ, სამართლიანობა წინააღმდეგობრივი კატეგორიაა და არსებობს სრულიად განსხვავებული შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა არის სამართლიანობა. არ არსებობს სამართლიანობის ერთმნიშვნელოვანი და ობიექტური მასშტაბი. შესაბამისად, შეუძლებელია კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტისას სამართლიანობის იდეას დავეყრდნოთ.

571. სამართლიანობის მასშტაბი დადგენილი აქვს კანონმდებელს. კანონში გამოხატულია სამართლიანობის შესახებ საზოგადოებაში არსებული კონსენსუსი. არ არსებობს სამართლიანობის „იდეა", რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს სამართლის შემფარდებელი. სამართლის განმარტება ვერ დაეფუძნება სამართლიანობის აბსტრაქტულ იდეას. სამართლის შემფარდებელი უნდა დაეფუძნოს კანონით განსაზღვრულ სამართლიანობის მასშტაბს და არა სამართლიანობის აბსტრაქტულ იდეას.

572. კონსტიტუციიდან გამომდინარეობს კანონმდებლის ამოცანა, რომ არსებული სოციალური და საზოგადოებრივი წესრიგის ფარგლებში დააკონკრეტოს სამართლიანობის იდეა. ეს დაკონკრეტება კანონების ფორმით ხდება. კანონში მოცემულია სამართლიანობის არა აბსტრაქტული იდეა, არამედ სამართლიანობის მასშტაბი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს მოსამართლე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სამართლის შემფარდებელმა ეს იდეა კანონის ტექსტიდან უნდა შეიმეცნოს.

573. ეს არ ნიშნავს, რომ კანონმდებელი ყოველთვის პოულობს სამართლიანობის მასშტაბს. დიქტატორული რეჟიმის ქვეყნების გამოცდილება გვასწავლის, რომ კანონმდებელიც შეიძლება უსამართლოდ მოიქცეს. კანონიერი უსამართლობის პრობლემა დღესაც აქტუალურია. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს რადბრუხის ფორმულა: რადგანაც უსამართლო კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, შესაბამისად, იგი ბათილია. მაგრამ, თუ კანონმდებელი მოქმედებს კონსტიტუციის ფარგლებში და კონსტიტუციით დადგენილ ჩარჩოებს იცავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამართლიანობის შესახებ მისი წარმოდგენა განსაზღვრავს იმ მასშტაბს, რომელსაც ასევე უნდა დაეყრდნოს სამართლის შემფარდებელი.

574. სამართლიანობასთან მიმართებაში ასევე მნიშვნელობა არ აქვს ხალხის უმრავლესობის შეხედულებებს. ხალხის უმრავლესობის მიერ სამართლიანობის შესახებ თუნდაც კონსენსუსის გზით ჩამოყალიბებული შეხედულება ვერ იქნება შეფასების მასშტაბი სამართლის შემფარდებლისათვის. ჯერ ერთი, უაღრესად პრობლემურია იმის დადგენა, თუ რას ნიშნავს ხალხის უმრავლესობის კონსენსუსი სამართლიანობის იდეის შესახებ. რეფერენდუმის ან გამოკითხვის შედეგებზე აპელირებას მოსამართლისათვის არ აქვს სავალდებულო მნიშვნელობა. ხალხის უმრავლესობის გამოკითხვა ვერ მოახდენს სასამართლო გადაწყვეტილების ლეგიტიმაციას. ასეთი გამოკითხვის შედეგები შესაძლებელია იყოს პოლიტიკურად დიდი მნიშვნელობის, მაგრამ მას არ აქვს იურიდიული ძალა სამართლის შემფარდებლისათვის. ამ დროს ძალიან დიდი იქნება საზოგადოებრივი აზრის ზეწოლა მოსამართლეზე, რადგანაც მას დიდი რისკის ქვეშ მოუწევს გადაწყვეტილების მიღება. ასეთი სიტუაცია ქმნის სერიოზულ საფრთხეს მოსამართლის დამოუკიდებლობისათვის. პროცესის მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ იმის მოლოდინი, რომ მათი საქმე გადაწყდება სამართლისა და კანონის საფუძველზე და არა საზოგადოების უმრავლესობის შეხედულებით.

575. კონსტიტუცია განამტკიცებს წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპს. წარმომადგენლობითი დემოკრატია კი ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებას უშუალოდ უმრავლესობა არ ღებულობს. კანონმდებელმა უნდა იპოვოს სამართლიანობის ის მასშტაბი, რომლის შესახებაც არსებობს საზოგადოების უმრავლესობის კონსენსუსი. ხალხის უფლებებიც არ არის შეუზღუდავი. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლით დადგენილია, რომ სახელმწიფოც და ხალხიც შებოჭილია ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.